ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10934/01
07/11/2019

10934-01-2-201911070914

შპს ,,ნიუ კოქსის'' დირექტორს
ბატონ **პეტრე სარდანაძეს**

მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბახტრიონის ქ. №9 ბინა № 25

ბატონო პეტრე,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 25 ოქტომბრის №15313 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა საქარაში ქვანახშირის დაკოქსვის საამქროს ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოში განთავსებული რეაქტორების შესახებ (რაოდენობა, წარმადობა);
- არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოს სამუშაო რეჟიმის, წარმადობის და მიღებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ;
- დასაზუსტებელია ქვანახშირის დაკოქსვის ტექნოლოგიური სქემა და პროცესის თითოეული ეტაპის ტექნოლოგიური აღწერა, მათ შორის კოქსის მიღების საბოლოო ეტაპის და ტემპერატურული რეჟიმის;
- ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე გარემოს თითოეულ კომპონენტზე ზემოქმედების შეფასება;
- საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია უახლოესი დასახლებული პუნქტთან (უახლოესი მოსახლე) დაშორების მანძილის შესახებ;
- დასაზუსტებელია ნედლეულის (ქვანახშირი) და წარმოებული პროდუქციის (კოქსი) ტრანსპორტირების საკითხი;

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

- ვინაიდან საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებობს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი სხვა საწარმოები, საჭიროა ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში განმეორებით წარმოდგენა.

პატივისცემით,

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე